



1910 სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი № 36

ფასი 10 კაპ. კვირა 12 ენკენ.




მხატვრობა, ქანდაკება და ხუროთმოძღვრება

# თეატრი და ცხოვრება

# № 36

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან

**Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба"**
**Іос. Зах. Имедашвили.**

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 12—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 862.

**№ 36** კვირა, 12 ენკენისთვე **1910 წ.**


## 12 ენკენისთვე 1910 წ.

**როგორ შევხდეთ?** სეზონის მოლოდინში ყველა ფაციფუცშია... არა ნაკლებ ფაციფუცობს ჩვენი თეატრი... დიდია მზადებაა და საზოგადოების თანაგრძნობაც, რამდენადაც წინასწარ ნიშნებით შეიძლება განვსჭვრიტოთ, ქართული თეატრის მხარეზეა,-და სხვა ნაირადაც არ შეიძლება: ვისაც სიცოცხლე და მოქალაქეობრივი წინსვლა ენატრება, იგი თავის კულტურულ დაწესებულებასაც სიყვარულით მოეპყრობა...

მალე პირისპირს შეხვდებიან ქართული თეატრი თავის დასითა და რეპერტუარით და საზოგადოება თავის სულიერ ნივთიერ ძალღონით. რიგიანად დაყენებულს ეროვნულს თეატრს ყოველგვარი თანაგრძნობა ეჭირება, ზნეობრივ თუ ნივთიერი და ეს საზოგადოებამ კარგად უნდა იცოდეს...

პრესამ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს სამშობლო თეატრს: ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს პირად ანტიპატია-სიმპატიას და, მით უმეტეს, იმისთანა რეცენზენტებს, რომელთაც პირზე რძე არ შეშრობიათ, ანი და ბანი არ უსწავლიათ: ქართული თეატრი საბიჭბუჭო როდია..

თეატრმა, გარდა იმისა, რომ თვითონ უნდა ეცადოს თავისი ღირსების ამაღლებას, მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს ქართველი საშუალო ინტელიგენციის, მუშებისა და მოწაფეთა ჯიბეს,-ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყოველი წრის ადამიანისთვის: პარტერში იაფ ფასიანი ადგილები უნდა მოემატოს, მოწაფეთათვის მუდმივი განსაკუთრებული ადგილები დაწესდეს, მუშა ხალხისა და წვრილ ვაჭართათვის შესაფერი ფასიანი სასხდომები მოემატოს..

წესიერება-დისციპლინა, თეატრის დემოკრატიზაცია—გახალხოსნება, ხელოვნების მოთხოვნილების ყოველი წვრილმანის ასრულება,-აი, რით უნდა დაიწყოს ახლმა სეზონმა მსვლელობა.. აი როგორ უნდა შეხვდეს ურთიერთს თეატრი და საზოგადოება...

**კლასიურია თუ არა-კლასიური ხელოვნება?** აი, საკითხი, რომლის გარკვევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ცხოვრების კულტურულ მიმდინარეობაში. სხვა და სხვა საუკუნისა და მიმართულების მწერალნი თავისი თვალსაზრისით არკვევენ ამ საკითხს, თავისებურათ ხსნიან. ამ საკითხის შესახებ, რამდენადაც ძალღონე შეგვწევდა, ჩვენც გამოვთქვით ჩვენი აზრი ჩვენის ჟურნალის პირველ ნომერში აზრი მარტივი, აქსიომური, რომლის სისწორის შესახებ ეჭვიც-კი არავის უნდა დაბადებოდა, არამც თუ კამათი დაეწყო, მაგრამ შევცდით. მოწინააღმდეგენი გამოგვიჩნდენ. კეთილი. ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ამ კამათს და ვთხოულობთ, ვინც დაინტერესებულია ჩვენის ხალხის კულტურული წინმსვლელობით, თავისი აზრი გამოსთქვას ამ საგნის შესახებ, რომ ჭეშმარიტება გამოირკვეს.

ერთი ჩვენი მოწინააღმდეგის აზრით, ლუნაჩარსკის სიტყვით რომ ვსთქვათ:

«ყველა უდიდეს კულტურულ მიმდინარეობას ქონებია თავისი ხელოვნება. ესავე ექნება ისტორიაში უდიადეს მუშათა მოძრაობას... სოციალდემოკრატიულ ხელოვნებაზე ჩვენ ვმსჯელობთ იმავ აზრით, რა აზრითაც ამბობენ: ხელოვნება ქრისტიანული, ბუდდიური და ელინ-წარმართული»?

შემდეგ თითონაც დასძენს:

„და მართლაც, თუ ისტორიამ კი იცის წარმართული, ქრისტიანული, ისლამური **მიმდინარეობანი ხელოვნებაში** (ხაზი ჩვენია—რედ.), რისთვის არ უნდა ვიცნოთ ხელოვნება პროლეტარული?" და სხ.

აი, შეცდომის თავი და ბოლო: ჩვენის

მოკამათის აზრით, ხელოვნება სხვა და სხვა კლასიურია: ბურჟუაზიული, პროლეტარული, და სხ. მაგ. „პროლეტარულმა მწერალმა რომ დღევანდელ ვითარებაში დაგვიხატოს ძალღონე გამოლეულ, ტეხნიკურად და გონებრივად უვიც მუშის-მიერ „სქელღიპიან“ ბურჟუას პირქვე დამხობა-დამარცხება, თავის მტანჯველ-მჩაგვრელთა მოჩვენებითი შემუსვრა, ჩვენის მოწინააღმდეგის აზრით ეს ხელოვნებაა...

არა, ამას ჩვენ ხელოვნების ფარგალში ვერ შევიტანთ,—ეს მოწინააღმდეგის სიტყვითვე რომ ვსთქვათ, მხოლოდ ერთგვარი **მიმდინარეობაა ხელოვნებაში,** ტენდენცია, საკუთარ რწმენაა იდეალთა ამა თუ იმ ფორმით ჩამოყალიბება...

ხელოვნება ასეთ ყალბ „ტილოს„ არ ხმარობს, მისი დევიზია სინამდვილე, არა ტენდენციურად გამოსახული...

ლუნაჩარსკი ამბობსო, გვეუბნება იგივე ჩვენი მოწინააღმდეგე:

„,უნდა გვაჩვენოს (**პროლეტარულმა მწერალმა**), —როგორც პროლეტარიატის, ისე მის წინაპართა ბრძოლა, საზოგადოდ უნდა გაგვაცნოს პსიხოლოგია ბრძოლისა, ნგრევა-შენებისა!!, და სხ.

დიაღ, სრული ჭეშმარიტებაა: ასე უნდა მოიქცეს „**პროლეტარული მწერალი**“, ასევე მოიქცევა ბურჟუაზიული, არისტოკრატიული და სხ. მწერალი, თუ იგი თავის კლასის იდეოლოგია...

ჩვენ ეს არ გვაკმაყოფილებს.

ხელოვნების ასპარეზი უფრო ფართოა. ხელოვნური ნაწარმოები ცხოვრების სარკეში ერთნაირის მომხიბლაობით გვიჩვენებს, როგორც პროლეტარის, აგრეთვე ბურჟუას ყოფა-ცხოვრებას, „პსიხოლოგიას, ნგრევა-შენებას“.. და აი, ამ სფეროში, ვინც სისწორით და სიმართლით აღგვიწერს ცხოვრების სურათებს-ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოვლენას,—ერთნაირად შესაწყნარებელია.

საქართველოს დიდებულ მამულიშვილის ილია ჭავჭავაძის ბელეტრისტულ-პოეტური ნაწარმოებნი, მხცოვან მგოსნის აკაკის ზეამფრინე პოეზია ნუ თუ ერთნაირად არ აჯადოებს ყველა მიმართულების კაცს? სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ერთ ბუმბერაზ მამამთავრის ეგ. ნინოშვილის საუცხოვო ნაწარმოებნი განა ერთნაირის მიმზიდველობით არ იკითხება ყველა პარტიის მიმდევართაგან?! განა მათზე ვინმე იტყვის—ნინოშვილი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მწერალია, ილია ნაციონალისტურიო!.. და განა ჩვენ ვთხოულობთ, ამა თუ იმ მწერალმა უარჰყოს თავისი „მე“?—სრულიადაც არა. მწერალი თვითონვე უარჰყოფს თავის „მე“-ს, როდესაც იგი წინად განზრახვით „ცხოვრებაში მოსძებნის თავისი მსოფლ-მხედველობის გამამართლებელ მოტივებს“ (sic), თავის პარტიის ცოდვებს ხურჯინის უკანა თვალში ჩაჰყრის, ხოლო მოწინააღმდეგე პარტიის ცოდვებს ხურჯინის წინა თვალში და მტკიცებას დაიწყებს: ხელოვნებას ვემსახურები, ჩემს პრინციპებს ვიცავო!.. არა, ბატონებო, იგი შეიძლება თავის პრინციპებს იცავდეს, მაგრამ ხელოვნების სამეუფოში-კი ადგილი არა აქვს... გვეუბნებიან, სოციალ-დემოკრატიული პარტიაც უკვე მალე განავითარებს თავის წიაღში წარმოშობილ ხელოვნებას და ჟამსა გამარჯვებისას მთელი ქვეყნის საკუთრებად და სულიერ განძად აღიარებს მას.ო

წარმოვიდგინოთ, რომ ეს ასეც მოხდა, მაგრამ თუ „სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წიაღში წარმოშობილ ხელოვნებას“ სიმართლე, სისწორე, სინამდვილე ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენის გამოხატულებათა (მიუკერძებელი,) „პსიხოლოგია ბრძოლისა, ნგრევა-შენებისა“ (არა მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული), სარჩულად არ დაედება, განა იგი ხელოვნება იქნება?!

ჩვენის რწმენით ხელოვნება უმაღლესი და უსრულესია, ზეპარტიული, უნივერსალური და მის ჭეშმარიტ ქურუმად მხოლოდ ის შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც ვიწრო პარტიობას არ ემორჩილება, განსაკუთრებით ჩვენებურ პარტიობას, რომლის ზოგიერთი ვითომდა მიმდევარ-წევრნი მოწინააღმდეგე ბანაკელთ ტალახში სვრიან ეგრედ წოდებულ თავიანთ „ხელოვნურ“ ნაწარმოებში, მაგ.: სოციალ-დემოკრატები ფედერალისტებს, ანარქისტებს და სხ. ყველა საგმობ თვისებას ააშკარავებენ, ხშირად ცილსაც სწამებენ, კარგს ხელს აფარებენ, აგრეთვე ფედერალისტები, ანარქისტები და სხ. სოციალ-დემოკრატებს იხსენიებენ.

ხელოვნებაში და მის ტაძარში თავისი „ხელოვნების“ შემტანი მწერლები გვიქადაგებენ: „ქმენ ცხოვრებაში შენი მსოფლ მხედველობის გამამართლებელი მოტივებით!“ („სახმა №6).

რასაკვირველია, ამისთანა „მაძებარს“ ხელოვნებაც თავისებური ექმნება და მასთან ჩვენ არა გვესაქმება-რა; ჩვენ მხოლოდ ის ხელოვნება გვწამს, რომელიც ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენის გაშუქებაში თავის პრინციპებს გაატარებს და არა ის, რომელშიაც სხვა და სხვა მიმდევარ-„მაძებარნი“ თავიანთს ,,საქონელს'' გამოაფენენ ცალმხრივათ...

და ის მწერალი, ხელოვანი, რომელსაც ღვთიური მადლი სცხია და ჭეშმარიტების ქურუმად არის მოწოდებული, ადრე თუ გვიან, დალეწს სულიერ ბორკილებს, გადაქელავს ვიწრო პარტიულ შეხედულობას და მსოფლიო თვალსაზრისით აღიჭურვება...

ერთი ხელოვნების ადგილს მეორე არ დაიჭერს. ხელოვნება ერთია, იცვლება მხოლოდ გარეგანი სახე, გამოხატულებათა საშუალება,—დედააზრი, პრინციპები-კი უცვლელია...

ცხოვრების უკმაყოფილებით დაავადებული სული უფლებრივ-ქონებრივ ხუნდებით შებორკილი ადამიანი, სხვა და სხვა პარტიულკანონებით შეწურთული გული, მხოლოდ ჭეშმარიტ ხელოვნებით იგრძნობს შვებას, მიტომ რომ იგი—ხელოვნება—ფართეა, და ვიმეორებ უნივერსალური, ზეპარტიული, არა კლასიური...

აი, ჩვენი აზრი და შეხედულება ხელოვნებაზე...



ეფროსინე კლდიაშვილისა

## გახსენება თეატრის შესახებ

(გაგრძელება იხ. ,,თ.. და ც.'' № 35)

პირველად რომ თეატრმა ქუთაისში ბიჯი გადადგა, ეფროც თან დაჰყვა და თანასწორომომხიბლავად თამაშობდა, როგორც დრამატიულს, ისე კომიკურ როლებსაც. მუდმივ მოღვაწეები, ესე იგი, კაცები თეატრისა იყვნენ: რაფ. ერისთავი, რომელიც პიესებსაც სწერდა და სუფლიორადაც იყო, ეფრო (ეფროსინე) კლდიაშვილისა, ზაქარია ჭეიშვილი და მე. ბოლოს და ბოლოს სცენის მოყვარეებიც მოგვეშველნენ. ერთხელ, პირველ ხანებში, როცა ჯერ კიდევ თეატრი არ იყო გამარჯვებული და მოთამაშეც ძვირი იყო, მე და ეფრო ვთამაშობდით რაფაელის ერთ სამ-მოქმედებიან პიესაში. რაფაელი სუფლიორობდა. წარმოიდგინეთ რა მოგვივიდა? რადგანაც პიესა რვეულებად იყო, რაფაელს მეორე მოქმედება შინ დარჩენოდა და ეს მაშინ გავიგეთ, როცა გამოსული ვიყავით სცენაზე. რადგანაც დედა-აზრი პიესის შეგნებული მქონდა, მე დავიწყე ჩემი სიტყვებით ლაპარაკი, ეფრო არ დაიბნა და ისიც თავის სიტყვებით მაძლევდა შესაფერ პასუხს. ასე რომ პუბლიკას ამაში არა თუ არა გაუგიარა, დიდათაც მოგვიწონა. ერთხელ კიდევ თბილისში მოგვიწვიეს. ჯერ რკინის გზა არ იყო გათავებული. ქუთაისიდან წავედით ოთხი და სხვები მოყვარეები მოვიშველიეთ. წარმოვადგინეთ „ყვარყვარე ათაბეგი“. დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, ეფრო მენახშირის ქალის როლს თამაშობდა და ისე გაიტაცა პუბლიკა, რომ ზოგიერთებს ისტერიკა მოუვიდა.—ყაფლან ორბელიანმა, რომელიც მუხლზე ფეხშემოდებული იჯდა პირველ წყებაში, დაიღრიალა: „გაიყვანეთ ეგ მოთამაშე, თვარამ დაგვხოცაო!.. და ახლა კი, როცა თეატრზე რამეს სწერენ, ეფროს ხსენებაც არ არის და მე კი უნდა აღვიარო, რომ ჯერ ქართულ სცენაზე უკეთესი მოთამაშე არ გამოსულა... არა თუ უსასყიდლოდ შრომობდა, პირიქით თვის ღარიბ ქონებიდანაც ბევრი დაუხარჯავს თეატრის გულისათვის... საზოგადოდ უნდა ვსთქვა, რომ ქუთაისში, დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობას, ჩვენში ფასი არა აქვს!.. იქ რაც უნდა კეთდებოდეს, არავინ ახსენებს და თბილისში კი, ერთი უბრალო გაფორთხალებაც კი საზოგადო მოღვაწეობად ითვლება და ამის ბრალი უნდა იყოს, რომ იმერლები თავს იყრიან თბილისში!.. ორი სეზონის მეტი აღარ ყოფილა ქუთაისში თეატრი, რადგანაც რაფაელ ერისთავი თბილისში გადმოვიდა და მეც იმ ხანებში დავანებე თავი ქუთაისს.

აკაკი

# განთიადის მოლოდინში

ნისლის ნაკვთი ნარ-ნარ ნიავს
ჩამქრალ ჩრდილათ ჩაკვდომოდა,
ბუჩქნარ-ბალში ბროლ-ბიბილას
მწვანე მოლი მოჰფენოდა.

სიოს სისინს სასოება
დილის დარდით დაჰკარგოდა,
ლალ ლაჟვარდსა ლანდთა ლეგა
გრძნეულთ გროვად გასწოლოდა.

ალიონი ალმას ამბორს
ია ისრათ იტაცებდა,
ცის ცივ ცრემლით ცრილ ციცაბოს
კორდზე კდემა კისკასებდა.

* *
*

თეთრ თხემს თოვლის თაიგული
ეთერ-ელვად ებნეოდა,
ხავერდ-ხმელზე ხაზად ხნული
რუ რაკ-რაკა რბილად რბოდა.

უჩვევ უკუნს ულმობელად
წარბ-წამწამი წაექუშა,
ვარსკვლავთ ვერცხლი ვაგლახ ველად
ჩრდილთა ჩანჩქერს ჩაეფუშა.

ფრთოსან ფიქრთა ფეიქარი
ქნარზე ქროლვით ქენჯნას ქსოვდა,
ზურმუხტ ზრახვათ ზვირთთა ზარი
შავი შიში შრიალს შობდა...

**ს. აბაშელი.**



**მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა**

ფაიხოშის (სამშობლო) როლში.

## მ. მ. საფაროვ-აბაშიძის იუბილეს გამო

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ჩვენის ჟურნალის 2 №-ში აღვნიშნეთ, რომ საზოგადოებას განზრახვა აქვს იდღესასწაულოს მ. მ. საფაროვ-აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 35 წლის თავი. დიაღაც, რომ თუ ჩვენის სცენის რომელსამე მოღვაწეს ეკუთვნის ერის მადლობა, მით უმეტეს—მ. მ. საფაროვ-აბაშიძისას, რომელიც ერთი მთავარი ქვაკუთხეთაგანი იყო ჩვენის სცენის დაარსების დღიდან. მაკო საფაროვი, ნატო გაბუნია, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, კოტე მესხი,—აი ვინ იყვენ, როგორც მსახიობნი, ქართული მუდმივი სცენის საძირკვლის ჩამყრელნი.

ამ საგანს ეხება ბ. სოსო „სახალხო გაზეთში“-ში (იხ. № 102), იხსენიებს რა ზემორე დასახელებულ პირთა ღვაწლს, სხვათა შორის ამბობს:

,,მადლიერმა ქართველმა ერმა უქმად არ ჩაუტარა ღირსეულ შვილებს შრომა და ღვაწლი. გაიხსენეთ ლადო მესხიშვილის ავადმყოფობა, ვასო აბაშიძის და ნატო გაბუნიას იუბილე, და დასასრულ, უკანასკნელის დაკრძალვა; თუ ყველა ზემო მოხსენებულნი პირნი ღირსნი იყვნენ ასეთის პატივის-ცემისა, განა მ. საფაროვისა კი ჩვენი თეატრის ვარსკვლავი არ არის? განა საფაროვის ქალი არ წარმოადგენს საუკეთესო გვირგვინს ქართული სცენისას?..

ამისათვის მივმართავ ქარ. დრამ. საზოგადოებას და თვით ქართველ ერს, და უმორჩილესად ვსთხოვ, უყურადღებოდ ნუ დასტოვებს თავის საუკეთესო ნიჭიერ და ამაგდარ ქალს, სიცოცხლის დროს უთხრას უკანასკნელი მადლობა, ამ თავით დაადგას მას გვირგვინი, მისგან ღირსეულად დამსახურებული, და შესაფერი იუბილე გადაუხადოს! იმედია, ეს მოწოდება არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, ვინაიდან ღვაწლი მ. საფაროვის ქალისა თავის-თავად მეტად ბევრს ეუბნება ჩვენს ხსოვნას‘‘.

გაზ. «Новая рѣчь»-ში (203) „ქართველ ინტელიგენტთა ჯგუფი“ იხსენიებს ჩვენი დამსახურებულ მსახიობთა ღვაწლს ეროვნული თეატრის წინაშე, მათი ღვაწლი ქართველი ხალხის-მიერ ღირსეულად არის დაფასებულიო, და შემდეგ განაგრძობს:

,, ჩვენი ვალია კიდევ ერთხელ მოვიგონოთ ეს მოღვაწენი და შესაფერისი პატივი ვსცეთ მ. საფაროვს, რომლის იუბილეს გადასადხელადაც ბეჯითად მოვუწოდებთ ქართველსაზოგადოებას‘‘.

## ახალი ვარიანტი თქმულებისა შოთა რუსთაველზე

(ჩაწერილი ს. ხიდისთავში გორის მაზრაში, ი. ამბრიაშვილისაგან)

შოთამ პირველს თავის დანიშნულზე ხელი აიღო. ქალმა მეტად იწყინა, ჯავრით მზე დაიბნელა, კარზედაც კი აღარ გამოდიოდა. მისმა საქმრომ კი სხვაზე დაიწერა ჯვარი. შოთას ჰყავდა მოსამსახურედ ერთი არაბი. ჯვარდაწერილმა პოეტის ცოლმა შეიყვარა ეს არაბი და ამ ღალატის ხმა მიაღწია ხელ აღებულ შოთას საცოლემდი. მისმა პირველმა დანიშნულმა, როცა ერთად ნახა რუსთაველის ცოლი და არაბი, ითხოვა ვაჟკაცური ტანისამოსი, შეიარაღდა, შეჯდა ცხენზე და მივიდა თამარ მეფის სასახლეში, სადაც მსახურობდა პოეტი. ცხენოსანმა შესძახა: „შოთა, გამოდი, შე უბედურო, და ნახე, რა ამბავია შენ სახლშიო?“ შოთა პირველს დაძახე-

ბაზე არ გამოვიდა; შესძახა მეორედ, შესძახა მესამედ და მაშინ კი გამოჩნდა შოთა. ცხენოსანმა გაუმეორა: „წადი ნახე, რა ამბავია შენს სახლშიო“.

შოთა გაქანდა სახლისაკენ და ნახა თავის თვალით, რომ მისი ცოლი და მოსამსახურე არაბი ერთად იყვნენ. შემოუყარა გული და სთქვა: თუ მინდვრად არ გაველ და ბოღმა არ ამოვიყარე, მოვკვდებით!? გამოვიდა შოთა მინდორზე ბოღმის და ჯავრის მოსანელებლად. ამ დროს გამოჩნდა მისი პირველი დანიშნული ქალიც, ვაჟკაცურად ჩაცმული, და გაუჭენ-გამოუჭენა წინ ცხენი და შეჰყვირა: შოთავ, შე უბედურო, ნახე რა ბედი გეწვიაო!“ ერთხელ უთხრა, მეორედ და მესამედაც, რომ დააყოლა, შოთამ იძრო ხანჯალი, ესროლა და მას ძუძუში მოარტყა. ძუძუდამ სისხლმა ამოფეთქა. ქალმა ვერ შეუძლო ტკივილს და ცხენიდან გადმოვარდა. შოთა მიუახლოვდა და ნახა გულ გადაღეღილი ცხენოსანი, რომელმაც უთხრა: „შოთა, შენ არ გეგონოს მე ვაჟკაცი ვარ, მე შენი პირველი დანიშნული ვარ. ღმერთს ვთხოვ, რომ სიკვდილი არ გეკითხოს შენ, რადგან ჩემს თავს ბედნიერად ვთვლი, რომ შენგან მეღირსა სიკვდილი“. შოთამ ეს რომ გაიგო, ძრიელ იწყინა, იგლიჯა თმები და ღირსეულადაც დაასაფლავა იგი.

გავიდა რამდენიმე ხანი და შოთამ გამართა მშვენიერი სადილი, რომელზედაც მოიწვია თვით თამარ მეფე და მისი მახლობლები. სხვათა შორის მოიწვია თავისი ცოლი და არაბიც. ჩაიცვა საჯირითო ტანისამოსი და იჯირითა. სადილზე რომ დასხდნენ, შოთა წამოდგა და მოახსენა: „თამარ დედოფალო და დიდებულნო, მე რა კაცათ მიცნობთ?“ თამარმა და დიდებულმა ყოველისფრივ შეაქეს და უთხრეს, რომ იმის ბადალი არავინ არისო. შოთამ ამის შემდეგ განაგრძო: „მე ვჯობივარ, თუ აი ის არაბი? მე თქვენი შექებული ჩემმა ცოლმა აი ამ არაბზე გამცვალა, ჩემი თვალებით ვნახე და თქვენ უნდა გადასწყვიტოთ, რა სასჯელი ეკუთვნის მას“. გადუწყვიტეს ქალს ყოველისფრით უკადრისი სასჯელი. მერე შოთამ მოახსენა: „მე ჩემი პირველი დანიშნული ჩემის ხელით მოვკალი, და ახლა მე უნდა დამსაჯოთ შესაფერად“ თამარმა გადაუწყვიტა შოთას შვიდი თვე მონასტერში ყოფნა. მაშინ შოთამ იძრო თავის საჯირითო ტანისამოსი, გადაყარა და წარმოსთქვა:

„მე რუსთველი ვარ, ძალსა ვბვეხ,
ცას ადგილზე თავს ვუზამ,
ზღვას ამოვრწყავ ეჭვითა,
როგორც ერთს ჭიქას ელაპს ვუზამ,
ბოზ დედაკაცს დიაცს,
თუ არ გაქცე, რას უზამ?!“

შემდეგ თამარს მოახსენა: „ამიერიდან ვეღარ მნახავთო“, და მართლაც თავის სიცოცხლე იერუსალიმში დაასრულა. შოთას ცოლის ძმებმა არაბს თავი მოსჭრეს, ტომრაკში ჩასდეს, თავის დას მიართვეს და უთხრეს: რადგან შენ დიდებული კაცი ვერ დააფასე და უღალატე, აჰა ეს ტომრაკი არაბის თავით და ამით იხარეო.

**ა. ხახანაშვილი**



**ახალგაზდობა და სიკვდილი**
დიუპუის ნახატი

## სიყვარული სიყვარულს.

ალერსი წმინდა მწყურიან გულით
და ვაჰ, მყიდულობს მამონი ფულით!
სადა ხარ, სადა—მე გეძახოდი—
შეურაცმყოფენ!.. დამიხსენ, მოდი!
მაგრამ ვაგლახმე!—გნახე შენ ტყვეთა...
აწ ვიგლოვ... ვიგლოვ სიცოცხლის დღეთა!

**ბაბილინა.**

# მთვარე

(ცოტა რამ ნასესხებია)

—რა მოგიწყენია? ხმას არ იღებ: რა დაგემართა?

—დღეს ბეჯითად ვსწავლობდი ასტრონომიას. ვარსკვლავთ მრიცხველებმა დააკმაყოფილეს გონება; გრძნობა კი ეხლაც მშიერია. ერთი მითხარით, თუ კაცი ხართ, ვინ და რისთვის შექმნა მთვარე?

—კარგი კითხვაა, თქვენმა მზემ, ბუნების-მეტყველების სტუდენტებისაგან!.. ჯანი გავარდნია—ვიოცნებოთ! მთვარე, ჩემის უზრით, ანგელოზმა შექმნა, რათა სიყვარულმა გზა იპოვოს. მაგრამ ამ ფარანს ხშირად ეშმაკი წაჰკრავს ხელს, და ამიტომაა, რომ მთვარიან ღამეშიაც კი მიჯნურთ გზა ეკარგებათ.

—მე კი მგონია,—მთვარე სიმახინჯეს ალუნთია ღვთიურ სინარნარისთვის ნიშნად გულწრფელის აღტაცებისა. ამიტომაცაა რომ მთვარიან ღამეში გული სავსეა სიყვარულით და თვალი ნაკლებათ არჩევს ლამაზს ულამაზოსაგან, შნოიანს უშნოსაგან. ყველა მშვენიერია, როცა მთვარის შუქი გადუბანს პირს.

—არა! მთლად ასე არ არის! ძველად ბოროტებას ხარკი მართებია სიკეთისა და მთვარე მიურთმევია. მას მერმე მთვარე, თითქოს სიკეთეს ემსახურება, ნამდვილად კი დარჩა ძველი პატრონის მონად.

—მე კი ცხონებულ გადიასაგან გამიგონია: მზეს, ჭეშმარიტების დედას, მოწყენია ერთხელ მშობიარობა. წინად თურმე ყოველ ღამე ვარკსკვლავებს შობდა მკერდიდან, ეხლა კი წაუტნევია ხელი ქოთანისთვის და გადმომოუგდია. ზევით აფრენის მაგიერ, ახლად შექმნილი ქვევით წამოსულა. ადამიანებს იგი მოვარეთ მოუნათლავთ. რადგან მთვარე ყალბი ვარსკვლავი არის, ყოველ სიყალბეს ექომაგება. თავის დედას მტრობს; სადაც მზეა იქ მთვარე ვერ გამოჩნდება.

—ერთის სიტყვით, ხიდი და შემაერთებელი ორი წინააღმდეგობისა მთვარეა.

—ოცნება კარგი საქმეა, მაგრამ ასეთი ღამის დაკარგვა კი ცოდვა იქნება.

—მაშ, რა ვქნათ?

—წავიდეთ გავისეირნოთ.

—სად?

—ჯერ ეტლებით წავიდეთ მდინარის ნაპირ-ნაპირ. მერმე ბაღში შეუხვიოთ, დუდუკი დავაკვრევინოთ! ვისაუზმოთ! თუ გნებავთ კოტეს ლიზაც წავიყვანოთ...

—მაგას ლიზა და ჩვენ რაღა?...

ლიზა მარტო ხომ არ დგას?!.. კატო და ფენია მასთან არიან... მეზობელიც ეყოლებათ.

—Ну ихъ къ черту!.

—

ღამის პირველი საათია. ორ სართულიანი სახლის გრძელ აივანზე სდგას თხუთმეტი წლის ქალი. თმა გაშვებული აქვს. სალამურ პერანგშია. ხან შეჩერდება და გადაყურებს ვეებერთელა მიძინებულ ბაღს; ხან ხტის ჟინ-მორეული. ხან მიწვება სავარძელზე დაღალული; ხან გადიხრება აივანის მოაჯირზე და მკერდს შეუშვერს შუქს. გული ცეცხლის მფრქვეველ მთასავით ამოხეთქას აპირებს.

—სანდრო, შალიკო, დათო სადა ხართ! ნუთუ ცეცხლი დაგიქრათ!! მოდით! ჩამიკონეთ, დამქანცეთ! დაღალული ვარ, მაგრამ არ მეძინება—დამაძინეთ! საძაგლებო, უკულმართებო, სად ხართ?!

—

სანდრო, დათო, ილიკო და სხვები სხედან მდინარის პირათ. მთვარე წყალში თრთის. ქალებს დაღალვისა და ღვინისგან თვალები ებრუცებათ. იცინიან უსიამოდ. ჰკოცნიან უგემურად.

—წავიდეთ!

—არა მე დავრჩები.

—ნახვამდის...

—შენ მაინც დარჩი...

—მე ვრჩები; სანდრო, დათო და შალიკო მიდიან მხოლოდ.

—

ცეცხლმა არ იცის, სად ინახება თოფის წამალი. ვაჟმა არ იცის, სად შეხვდება მრთოლარე გული.

**ნ. ლორთქიფანიძე**

# მთებში

I

მწვერვალს მიველტვი ვიწრო ბილიკით,
შორს, შორს ცისაკენ მიმიწევს გული,
ოცნებით დავფრენ ლაჟვარდ სივრცეში,
კვლავ სიცოცხლისკენ ისწრაფვის სული.
გავფანტე გზა-გზა შავ ღრუბელთ ჯარი,
ვუახლოვდები თან და თან ღმერთებს,
იქ ზეცის უნდა დავრეკო ზარი...
უბედო მაშვრალთ ის ხმა აერთებს.
და როს რიჟრაჟი, საგანთიადო,
თამამად დასძრავს ტატნობზე ნავსა,
სხივთა ისარი, ჰგმირავს ულმობლათ
ღამის სიბნელეს, უკუნეთს შავსა,
მე იქ, მთის წვერზე, ამაყად მდგომი
პირველ ბრძოლის ჰიმნს ვასმენ მიწასა,
რომ ხმა სასტიკი, შურის ძიების,
რისხვათ და მეხათ მიწვდეს თვით ცასა.
მაშ ბრძოლა, მუზავ, წინსვლა მედგარი,
ადრე დავრეკოთ ის უცხო ზარი!

II

მთებში ვარ... დამპალ მიწისა ჭაობს
დავშორდი... მაღლა, ბუნების მკერდზე,
ყვავილთა შორის სული ნარნარობს,
ახალი ჰიმნი დაკრთის სიმებზე.
ლაღი ნიავი ბანს აძლევს გრძნობით
სულის წარმტყვევნელ ჩანგისა ჟღერას,
და მყის აქსოვებს ბუნების ხმებში
ჩემ უცხო აკკორდს, ბრძოლის სიმღერას.
შორით-კი, შორით მთა იდეალის
გულს მიშლის, თვისკენ მეპატიჟება,
შვების წალკოტი, სამოთხის თვალი,
გაცრეცილ ცის ქვეშ სხივათ ეგზნება.
მივდივარ მისკენ... აღთქმისა ზარი
იქვე ჰკიდია... უხმოთ... მდუმარი
და მის გარშემო შესაზარ ხმითა
დაძრწის, დაღმუის სასტიკი ქარი.
მაშ, ბრძოლა, მუზავ, ვძლიოთ ის ქარი,
ადრე დავრეკოთ საქვეყნო ზარი!..

**ნ. ჩხიკვაძე**



**ლეონიდ ანდრეევი**

მისი პიესის „Gaudeamus" დაწერის გამო. ამ ჟამად სწერს ახალ პიესას ,,ოკეანეს''

## რისთვის დასცურავ მთვარევ?

...

რისთვის დასცურავ, მთვარევ, რათ არღვევ წყვდიადს-ბნელსა, რისთვის ჰფენ მკრთალ შუქს დედამიწის კალთასა?!... რათ უცინი ზღვა-ტბებს, მდინარე-ნაკადულთ... რათ ეალერსები ყვავილთ-მცენარეთ?!

რა გაქვს მიზნათ?!.

დასცინი ამ ქვეყანას, თუ სიბრალულით ხარ აღძრული?!.

თუ შენვე განაზებს შენი მშვენება, როს სჭვრეტ შენს სახეს ბუნების სარკეში და გრძნობ გულის ძგერას ადამიანთა, პირუტყვფრინველთა, ციმციმა პეპელათა, რომელთაც შენ აღგზნებ...

ან თუ ბნელეთს ებრძვი, გეზიზღება შავი სუდარა, რომ ეფარება კოხტა, კეკლუც ქვეყანას და გსურს გაარღვიო, შვება მისცე სულდგმულთ, რომ ღამით გზა გაიკვლიონ?!.

იქნებ კრიჭაში უდგიხარ ბოროტებასა და მის უმგსავსობის კვალს გვიჩვენებ, გვიადვილებ მასთან ბრძოლასა?!

ან თუ მხოლოდ შეყვარებულისათვის დასცურავ ცის კამარაზე მის დასალონად, სულის სატირლად?!.

ან იქნებ სტკბები უსამართლობის გამარჯვებით, და ღიმილს გგვრის მონათა ღაღადი, მათი ჩაკლული არსება და ყრუ, საზარელი გმინვა?!

ან იქნება გინდა ტანჯულებს უფრო ღრმად ჩაუნერგო მათი მწარე წუთები, შენს ნაშკაშზე გაორკეცებულად აღორძინებული!?

ან იქნებ გსურს თანაგრძნობის სხივებს ჰფენდე წამებულს?!.

მთვარევ, ორთავეს ერთნაირად რომ უცინი, გამაგებინე ვის დასცინი, ვინ გყავს მასხარად აგდებული, ვისთვის დასცურავ ცის სივრცეში, ვის უკვლევ გზასა?. შენ ხარობ, თუ ახარებ სხვასა?!.

ეხ, მთვარევ, იცურე კვლავაც, გასჭერ ღრუბლები, აპე ბნელეთი: შენც იხარე და გვახარე ჩვენცა!.

**გიორგი ფოცხოველი**



**კორნელია შესანინავი დედა რომის მოქალაქეთა ტიბერიუს და კაიუს გრაკხებისა.**

შვილებს უქადაგებს ქვეყნის და ერის სამსახურს.ა

(ლებახის ნახატი)

## სიკვდილს არავინ გადურჩება

(გაგრძელება იხ. ,,თ. და ც.'' № 35).

ნეტავი ვიოდცე სად გაუქრა მოუდრეკელობა, რამ მოუკლა გული და პირი-სახე დაუსახიჩრა? **ის** მიდიოდა... ხოლო უდიდესი ბოროტება თავისუფლად სუნთქავდა, შავად შექმნილს სატანას მუხთალს სახეზე მკრთალი ნათელი გადაკვროდა. **ის** კი ისევ მიდიოდა, უკან შავი წყეული აჩრდილი მისდევდა. ეს ულაზათო ჯოჯოხეთობა შიშის ზარსა სცემდა **მას**, იმაში თავის თავსა ხედავდა, თითქოს **იგი** ძველი, **მას** აწმყოს დასცინოდა, მასხარად იგდებდა, რაღასაც ყურში ჩასჩურჩულებდა, სამშობლოს, ოჯახს, ცოლშვილს აგონებდა: „მაცა ჩემო მეგობარო, შესდექ, მოიხედე უკან,“ ეუბნებოდა მაცდური აჩრდილი, **მისი** ძველი შავი აჩრდილი და უკან მისდევდა. **ის** კი გულჩათხრობილი იყო; **მისი** გონება ირყეოდა, მისი სული ცეცხლისაგან გაწითლებულ შამფურებით ნაწამებსავით ძრწოდა და წყეული აჩრდილიც ყურში ულიტიენბდა. და თითქოს **მის** მწუხარებაზე თვის ბედნიერებას აშენებენო, ჰხარობდენ და კეკლუცობდენ ფრინველნი, კუნტრუშობდენ ნადირნი და ჰიანჰველანი გამოუთქმელის მხიარულებით გარბოდენ. კოლოები დასცინოდენ, პეპლები მასხარად იგდებდენ, პატარა ციყვი მკრთალის ღიმილით შეჰყურებდა **მას** და მაიმუნი იღრიჭებოდა. „საწყალი“, „საცოდავი“ ამბობდა მეორე და ღვთის მოსავთ ფუთტკარი არიგებდა: „სადღა მიდიხართ, ჩემო კარგო, შემომხედე, რა ბედნიერი ვარო“. ბულბულს სამგლოვიარო ჰანგები ჩაერთო მხიარულს გალობაში და ყველანი ერთად მიაძახებდენ: „სად მიდიხარ, ჩემო კარგო, შემოგვხედე რა ბედნიერნი ვართო.“

და **ის**, შეშინებული მოხუცი წინ მიდიოდა.

(შემდეგი იქნება)

**ჯურღმული**

# ყრუ სოფელში

სცენები სამ მოქმედებად სოფლის ცხოვრებიდან

### VII

იგინივე, **მამასახლისი და მწერალი**

**მამასახლისი** (ხალხს გადახედავს) ეგ რასა ჰგავს?!. აქ სულ 30 კაცი არის... სად არიან დანარჩენები?!. (სევერიანეს დაინახავს და არ ესიამოვნება) შუადღე მშვიდობისა.

**სევ.** (მშრალად) ღმერთმა გაცოცხლოთ!

**მამას.** (სევერიანესთან მიდის და ხელს აძლევს) როგორ გიკითხოთ, ბატონო „უჩიტელო?“ (ფარისევლურად ელაპარაკება) ეხლა ზაფხულია და თქვენც მოსვენებული ხართ, ბავშვები აღარ შეგაწუხებენ·

**მწერ.** ჩემის აზრით უჩიტლობისთანა ადვილი სამსაეური მეორე არ გაუჩენია ღმერთს: მთელი ზაფხული საშობაოთ და სააღდგომოთ თავისუფალი ხართ, ისვენებთ.

**სევ** პირიქით მასწავლებლობისთანა ძნელი სამსახური მეორე არ არის. დიდი შრომა და საპასუხისმგებლო მოვალეობა აწევს მასწავლებელს

**მამას** (მწერალს) აბა, შევიდათ კანცელარიაში (სევერიანს ფარისევლურად) აბრძანდით ზევით.

**სევ** გიახლებით. (სამივენი ადიან აივანზე ჩარჩები წამოდგებიან ხელს ართმევენ. ქალიშვილები ეშმაკურის ღიმილით აყოლებენ თვალს მასწავლებელსც მამას. და მწე. სახლში შედიან.)

**ჩარჩი** (სევერიანეს) დაბრძანდით ბატონო უჩიტელო!

**სევ** გმადლობთ. (ყველანი დაჯდებიან)

**ახლგაზ** (ქალიშვილებს) რა იყო რომ იმ უჩიტლისკენ დაგრჩათ თვალები. ჩვენ რა იმაზე ნაკლები გახლავართ?

**2 ახალგ** (დაცინვით) როგორ თუ რაო?!. ვერ ხედავ, ოყი კაკაროა აქვს მიკრული ქუდზე?

**1 ახალგ.** ორი კი არარა ოთხი რომ მიიკრას, მაინც ოცდა ხუთ მანეთიანი უჩიტელი იქნება.

**ქალიშვილი.** თქვენ რა გული გტკივდებათ მერე?.. ოცდა ხუთ მანეთიანია თუ ოცდა ხუთ თუმნიანი, მაინც უჩიტელია, ნასწავლია.

**პეტ.** ასეა, ჩემო ივანე და რასაი იქ კაცი.

ჩვენი კაცი თუ რამეთ აირჩიეთ, თავზე დაგაჯდება, — პატიოსნებასაც დაკარგავს და ზრდილობასაც. დიმიტრისთანა გლახაკი მეორე არ იყო ჩვენს სოფელში, სანახევროდ ჩამოთხოვილი სიმინდით არჩენდა ცოლშვილს, ეხლა წუნარად გამარჯობის თქმასაც არ კადრულობს, — რაათ და მამასახლისი ვარო.

**ნიკო.** ჩვენი უბედურებაც სწორეთ ამაშია, მაგრამ ჩვენი ბრალი კია. ბატონი უჩიტელი რომ ბრძანებდა, იმისი არ იყოს, ჩვენში არ არის ერთობა და პირიანობა, თორემ ახლა რომ ბედავს დიმიტრა, იმის ნახევარსაც ვერ გაბედავდა. ერთი კარგი თხოვნა რომ მიგვერთმია გუბერნატორისთვის მაშინ კი ვნახავდით მაგის სეირსა, მაგრამ ესეც ვერ მოვახერხეთ. ვეზდი ნაჩალიკი ჩამოვიდა და ვერც იმასთან გავბედეთ მაგაზე საყვედურის თქმა.

**3 გლ.** შენც რას ლაპარაკობ, ნიკოია!.. გაბედე და მერე აღარ გინდა ამ სოფელში ცხოვრება?!. ვეზდი ნაჩალიკი რო წავიდოდა, მერე ხომ ამოიყრიდა ჟინსა.

**ნიკო.** თუ ყველანი ერთი პირის ვიქნებით, ვერაფერსაც ვერ დაგვაკლებდა. ეხლა თუ თავზე გვაზის, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ ძლიერ კარგად ხედავს ჩვენს სისუსტესა და სივაგლახეს.

## VIII

(აივანზე გამოვლენ და რიგულს მოადგებიან მამას. და მწერ., რომელსაც ხელში ქაღალდები უჭერია. ჩარჩებიც რიგულს მოადგებიან)

**მწერ.** აბა, მოიწით ახლოს! (გლეხები მიიწევიან).

**ხმები.** მადლობა ღმერთს... ეშველა გამოსვლა.

**მამას.** (მრისხანეთ გადახედავს) ააჰ! ერთი კაცი არ მომატებია! არა მასხარათ ხომ არ მიგდებთ, ხალხო?! როგორ ბედავთ და ყრილობაზე არ მოდიხართ, თუ დაგავიწყდათ ჩემი მათრახები?

**ხმები.** ჩვენ მოველით და ეს არის... გამოგვიცხადე, რასაც გვიცხადებ... ნუ დაგვხოცე ამ სიცხეში ამოდენი ხალხი.

**1 გლეხი.** თქვე დალოცვილო, ვითომ არ იცოდეთ, რომ ყანების თოხნის დროა.

**ნიკო.** გამოგვიცხადე დროზე... გადაგვარჩინე... ამოვწყდით ამ სიცხეში.

**მამას.** შენ, ნიკოია, ვერ დაგასწავლე ჭკუა?!. ვის უბედავ ასე ხმა მაღლა ლაპარაკს და ყვირილს, შე მათხოვარო შენა!

**ხმები.** ნიკოია კი არა, შენ თვითონ ყვირი.

**პეტ.** სხვები თუ არ მოვიდნენ, ჩვენი რა ბრალია? დროზე გაგვანთავისუფლე, ჩვენი ყანები უპატრონოთ არის მიტოვებული.

**ხმები.** გაგვიშვი დროზე... გამოგვიცხადე თუ რამეს გვიცხადებ.

**მამას.** რომ ღრიალებთ, რა ამბავია? თქვენი ბრალია! თქვენ რომ დროზე მოდიოდეთ, მაშინ-კი არ დაგჭირდებოდათ აქ ცდა. არ მოდიხართ და იცადეთ.

**ხმები.** რა ჩვენი ბრალია, სხვები თუ არ მოვიდნენ. თუ დროზე არ გაგვანთავისუფლე, ჩვენით წავალთ... ამდენი ცდა არ შეგვიძლია.

**მამასა.** (გაბრაზებული) სახლში წავალთო!? აბა ვნახავ, როგორ წახვალთ!.. ჰეი, სტრაჟებო! (ოთხი დარაჯი წამოიჭიმება მის წინ) ჩადით დაბლა და თუ რომელიმემ სახლში წასვლა დააპიროს, ზურგზე ტყავი ააცალეთ... ბიჯი არ აქნევინოთ. (დარაჯები დაბლა ჩადიან) შუაღამემდე ფეხს არ მოგაცვლევინებთ არ ერთს.

**სევ.** (წამოდგება და მამასახლისთან მიდის) ეს არ გეკადრებათ დიმიტრი! თქვენ სრულიად უსაფუძვლოთ სჯით უდანაშაულო ხალხს. მათი მოთხოვნილება სრულიად სამართლიანია. თვითონ გლეხი კაცი ბრძანდებით და ნუ თუ არ იცით, რამდენი მოთხოვნილება და გაჭირვება აწევს კისერზე გლეხკაცს? რამდენი საქმეები აქ და ისიც ამ ყანების დროს?!.

**ხმები**. მართალს ბრძაებს ბატონი „უჩიტელი."... ყანების თოხნის დროა, აქ მოსაცდენად სად გვცალია?

**მამას**. ნუ ღრიალებთ, ყურები ნუ წაიღეთ თქვე ჰარამზადებო, თქვენა! (სევერიანეს) შენი საქმე არ არის, მე რასაც ვშვრები და, თუ შეიძლებოდეს, ჩემს საქმეში ნუ ერევით. მე კანონის მოთხოვნილებას ვასრულებ.

**სევ.** კანონი არ თხოულობს უდანაშაულო დაისაჯოსო. თქვენ კი კანონის სახელით უკანონობას სჩადიხართ.

**ხმები**. მართალია, მართალი.

**მამას**. გთხოვ, თავი გამანებოთ! გითხარი შენი საქმე არ არი მეთქი!

**ხმები**. კი არის... ჩვენ რას გვერჩი?

**ნიკო.** გვაკმარე ამდენი წამება...

**მიმას.** შუა ღამემდე ერთსაც არ გაგიშვებთ. (ხალხში უკმაყოფილება თან და თან ძლიერდება)

**სეფერ.** (მამასახლისს ეკამათება, მაგრამ ხმაურობაში არაფერი ისმის. ბოლოს, როდესაც ცოტათი ხმები შეწყნარდება, მოისმის სეფერიანის სიტყვები) დიაღ სამწუხაროც ის არის, რომ ძალა და სამართალი თქენი მსგავსების ხელშია!.. მაგრამ ერთხელმაც იქნება თავს დაგატყდებათ მოთმინებიდან გამოსული ხალხის რისხვა. მაშინ კი ვნახავ, რომელ კილოზე შემოსძახებთ სიმღერას (აივნიდან ჩამოდის და აჩქარებით მიდის)

**მამას** აჰ! კიდეც მემუქრებ, აი, შე ბუნტოვშჩიკო, შენა!.. მე შენ გიჩვენებ სეირს! შენ თუ კარგი კაცი ყოფილიყავი, არც მე მომივიდოდა „ვეზდი ნაჩალიკის“ მოწერილობა: „უჩიტელს თვალ-ყური ადევნეო“. (გაბრუნდება და მიდის; მას მიჰყვება მწერალიც. ხალხში უკმაყოფილება მატულობს. დარაჯები მათრახებით ხელში უვლიან ხალხს და ემუქრებიან. მოედანზე ემატება ახალი მოსულები)

**1 ჩარჩი.** ნუ ყვირით, თქვე ბრიყვებო, თქვენა! რა ნახეთ რომ ალრიალდით? როდესაც კაცი გულზედ გახეთქეთ, ეხლა რასაკვირველია, რომ აღარ გაგიშვათ...

**ნიკო.** ძალით წავალთ! რაც უნდა გვიყოს, მაინც წავალთ, თუ ახლავ არ გამოგვიცხადა.

**1 ჩარჩი.** გამიგონეთ. მე გამოცდილი კაცი ვარ და...

**ხმები.** (აწყვეტინებენ) არა, არ გვინდა შენი რჩევა... შენ ჩვენ სახეიროს არაფერს იტყვი.

**ნიკო.** შენი გამოცდილება შენთვის შეინახე, ჩვენ არაფრათ გამოგვადგება. (ჩარჩი ხელს ჩაიქნევს და მამასახლისთან შევა)

**1 ახალ.** (აივნიდან) უკუ აქციეს! (ყველანი იცინიან)

**სეფე.** რა მისი საქმეა, რომ ეჩხირება ამ გაბრაზებულ ხალხში!

**2 ახალ.** ამ ხალხს აღარ უშვებენ აქედან, მაგრამ ჩვენ კი რა გვინდა ნეტაი, აქ რომ ვიწვებით ამ სიცხეში? წავიდეთ, ნუ დაგვიწყდებათ, რომ ამაღამ დომენტი პურაძესთან ვქეიფობთ. აქ თუ მოვიქანცეთ სიცხით, იქ რა დროებას გავატარებთ?! იმ კაცმა იმისთვის დაგვპატიჟა ნათლობაში, რომ კამპანია მოუმხიარულოთ.

**1 ახალ.** დაიქანცები, თორემ, მე ვიცი, ორ ჩაფ ღვინოს დალევ... ერთ ყანწს დალევ თუ არ, კისერი მოგტყდება და ახალ დაკლულ ქათამივით ხან ერთ მხარეს ეხეთქები და ხან მეორეს.

**2 ახალ.** უკაცრავათ ბრძანდები... შენზე ნაკლები მსმელი არასოდეს არა ვყოფილვარ...

**1 ახალ.** მე მედრები?! რა არის, კაცო, ტრბახი რომ გიყვარს? ვინ იყო თხრილიდან რომ ამოათრია ლიზიკომ? ლიზიკო რომ არ წამოგსწრებოდა—თხრილში ჩაგეძინებოდა.

**სეფე.** ღირს, ბატონებო, ამაზე ჩხუბი? ამაღამ ხომ საქეიფოთ ყოფილხართ მიპატიჟებული, იქ შეებით ერთმანეთს და მაშინ გამოჩნდება, ვის მეტი დალევა შეუძლია.

**1 ქალიშვ.** მართალს ამბობს სეფე. რა დროს ჩხუბი და თავის ქებაა? ამაღამ ვნახავთ, ვინ როგორი მსმელია! (სახლიდან მოისმის მამასახლისის და ჩარჩის ხმა)

**ჩარჩი.** არც ასეთი გაჯიუტებავარგა, დიმიტრი! ეხლა საკმარისი ხალხია გამოცხადე, თორემ მათი ღრიალ-ყვირილმა ლამის სული წაიღოს.

**მამას.** არა, ვის უბედავენ მასხარად აგდებას?.. ვიწვევ—არ მოდიან, მოვლენ და—ყვირილს და ჩხუბს გამიმართავენ!

**ჩარჩი.** მე დამიჯერე, დიმიტრი! გამოდი და მოიცილე თავიდან. როგორ შეიძლება, რომ ყრილობას არავინ დააკლდეს?!

**მამას.** ცოტას კიდევ დავიცდი და...

**ჩარჩი.** დაიცდი, მაგრამ დაგვიგვიანდება. ჩემ საქმეზე თუ დღეს არ წამომყევი, ხვალ და ზეგ მე არ მცალია და ხომ დავიღუპე კაცი?

**მამას.** შენს საქმესაც მოვასწრებთ.

**ნიკო.** აწი მაინც რაღა უნდა, რომ არ გამოიტია იმ სახლიდან, ეხლა ხომ ბევრი ვართ, —, ამდენი ხალხი მოემატა!

**ხმები.** ეს რასა ჰგავს, სანამდე უნდა გვაცდევინოს?

**ნიკო.** რა არის, რომ ამდენ ხალხს არაფრად გვაგდებს?!. რომელი შემოსავლიდან გავისტუმროთ ან საფოსტო გარდასახადი, ან ეს რაღაცა ედონიკაა თუ უბედურება, როდესაც მთელი დღეებს კანცალარიაზე დაგვაღამებინებს. (ხალხს) ამოიღე ხალხო, ხმა! ხომ ხედავთ, რო დასაქცევად მოგვივიდა ეგ მამასახლისი!

**ხმები.** წავიდეთ, წავიდეთ...

**3 გლ.** რომ წავიდეთ, მით რა იქნება? ხვალ ხელახლავ მოგვრეკენ და ხვალინდელ დღესაც დაგვაკარგვინებენ.

IX

იგივე, **მამასახლისი, მწერალი და ჩარჩი.**

**მწერ.** ახლოს მოდექით!

**ხმები.** მადლობა ღმერთს... იქნება გვეშველოს.

**მამას.** (მრისხანეთ) დაჩუმდით და მოისმინეთ...

**ხმები.** დაჩუმდით, დაჩუმდით... გაგვაგონეთ...

**მამას.** აი რაშია საქმე: გუბერნატორისაგან მივიღე ორი მოწერილობა. პირველი: უფალი გუბერნატორი გვიბრძანებს, მავნე და ბოროტი კაცები გამოვარჩიოთ და ხელში მივცეთ ის კი გაადაასახლებს. გადასასახლებელ პირთ და ჩვენ შევისვენებთ ქურდ-ბაცაცებისაგან და...

**ნიკო.** გადაასახლებსო იძახი! სად არის მერე თუ გადაასახლა? ასჯერ კი დაგვაასახელებიეთ, მაგრამ ყველანი აქ დასეირნობენ. იმათ მაგიერათ უდანაშაულო, პატიოსანი კაცები გადაასახლეს.

**მამას.** შენ, კრინტი ჩაიწყვიტე მეთქი! თუ კიდევ გაგიბედავს ასეთი სიტყვების წამოყრანტალება, სხვებზედ უწინ შენ გიკრავ აქედან თავს. ჰო, იმას ვლაპარაკობდი. გუბერნატორი გადაასახლებს ყველა დასახელებულ პირთ. ...

**1 გლეხ.** (ჩუმად) ყველა ქურდები შენი ძმა კაცები და ამხანაგებია და რაღა გვეკითხები და გვახელებ.

**მამს.** ხომ გაიგონეთ, რა გითხარით?... დაფიქრდით და დაასახელეთ, ვიზედაც კი გაქვთ იჭვი, ნუ დაფარავთ. მე დავნიშნავ ხუთ პატიოსან, კეთილსინდისიან კაცს და მათ შეატყობინებთ ფარულად საეჭო პირთა სახელსა და გვარს შემდეგ ეს ხუთი კაცი მიიკითხ-მოიკითხავენ, შეამოწმებენ თქვენ მიერ მოწოდებულ ცნობებს რომელბიც მართლა მავნენი აღმოჩნდებიან „პრიგოვორით“ წარდგენილნი იქნებიან გუბერნატორთან. ეხლა მე დავასახელებ კაცებს: კოსტა თავქარაძე, მაქსიმე ჩუმათაძე, (ხალხში უკმაყოფილო ჩურჩული გაისმის), თედორე გუნდაძე, პავლე ტყავაძე და გიორგი ურცხვიშვილი.

**ხმები.** არა, არა!.. არც ერთი მათგანი არ გვინდა.

**ნიკო.** (ჩუმად) თვითონ ესენი არიან სხვებზე მეტად მავნებელნი და ქურდები.

**მამას.** ვინ გვინდა და ვინ არა, მე უკეთ ვიცი. მე დავასახელე მეტათ პატიოსანი და სანდო პირები და ისინი გაუძღვებიან ამ საქმეს. მე თქვენ ცუდს არ გირჩევთ.

**ნიკო.** მამასახლისო ჩვენ არ გვინდა შენი დასახელებული კაცები! ჩვენ თვითონ დავასახელებთ და ავირჩევთ. ჩვენი საქმე ჩვენ დაგვანებეთ.

**მამას.** გითხარით მეთქი, რომ ეს თქვენი საქმე არ არის. შენ კი, ნიკოია, თუ შენით არ არ დაგიმოკლებია ენა, მე თვითონ დაგიმოკლებ. (ხალხში უკმაყოფილება და ყრუმანი გაისმის)

**გოგია.** (თავისთვის თუ მამასახლისობა და ეშმაკობა არა აქვს გულში, რატომ ჩვენ არ აგვარჩევინებ ამ ხუთ კაცს.

**მამას.** მეორე ბრძანებ მოისმინეთ.

**ხმები.** სუუ, დაწყნარდით, გაგვაგონეთ.

**მამას.** მეორე ბრძანება ედონიკას შეეხება. ჩვენ სამასახლისოზე ედონიკად არის დარჩენილი 5312 მ. და 19 კ. უფალი გუბერნატორი გვიბრძანებს, რომ დაუყოვნებლივ შევკრიბოთ ეს ფული და ხაზინაში წარვადგინოთ.

**ხმები.** რა ედონიკაა, გაგვაგებინე, ვინ არ გადიხადა თავის დროზე.

**მამას.** ეს თანხა შედგა შვიდი წლის ედონიკებიდან თავის სარგებლით. ზოგი ერთმა ვერ შესძლეს თავის დროზე სათემტო გადასახადის გადახდა. არაფერი არ გააჩნდათ და რას გადავახდევინებდით. (ხალხში ხმაურობა და უკმაყოფილება ძლიერდება)

**ხმები.** ტყუილია, ჩვენ გადახდილი გვაქვს.

**მამას.** ხმაურობა და ყვირილი არ გამოგადგებათ. ხელწერილი უნდა დავდოთ, რომ ამ ფულს 15 დღეში შევკრებთ და წარვადგენთ ხაზინაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ეგზეკუციას ჩაგვიყენებენ.

**1 გლ.** დაასახელეთ, ვის არ გადაუხდია...

**ხმები.** 15 დღეში ამდენ ფულს საიდან გავაჩენთ... ტყუილი ანგარიშია... არ შეგვიძლია.

**ნიკო.** ვისაც არ გადაუხდია, მან გადაიხადოს. ჩვენ თუ არ დაგვზოგე, მარჩენალი ხარები და საოჯახო ნივთები გაგვიყიდე, სხვები

რა კოჭებია?!. მე ჩემი წილის გადახდამ გამწყვიტა წელში და სხვისი სამაგიეროს გადახდა სად შემიძლია?!

**3 გლ.** (ჩუმად) რაც ეგ დავაყენეთ მამასახლისად, მას შემდეგ არც ერთს მის მოყვარეს ერთი კაპეიკი არ გადაუხდია და ეხლა უნდა ჩვენ გადაგვახდევინოს მათ სამაგიეროდ.

**1 გლეხი.** (ნიკოს უჩურჩულებს ყურში) დიმიტრა ამდენ ფულს დატოვებდა!? ტყუილია. ლაპარაკობენ, მამასახლის და მწერალს შემოეხარჯათ და ეხლა მეორედ გვახდევინებს.

**მამას.** აბა, რას უყურებთ? ქაღალდი გამზადებულია, ამოდით რიგ-რიგათ და ხელი მოაწერეთ.

**ხმები.** რას უნდა მოვაწეროთ ხელი... რა ქაღალდია?

**მამას.** რა ქაღალდია და ის, რომ პირობას იძლევი 15 დღეში შევკრიბოთ დანარჩენი ფული და წარვადგინოთ ხაზინაში.

**ხმები.** რას ლაპარაკობ... სად შეგვიძლია ასე ჩქარა?!

**ნიკო.** ვერა, ვერ მოვაწერთ ხელს! ჩვენ ჩვენი წილი გადახდილი გვაქვს! ვისაც არ გადაუხდია, იმან გადაიხადოს! ხალხო, არ მოაწეროთ ხელი...

**მამას.** რაო, რაო!? კიდევ შენ ამღვრევ წყალს, ნიკოია?

**ნიკო.** რომ მიყვირი, რა გინდა თუ იცი?.. თუ სიმართლე გინდა, შენ და შენმა მწერალმა ჩაინთქეთ მუცელში ჩვენგან ვაით და ვუით შეკრებილი ფულები და ახლა—ედონიკა არის—იძახი.

**მამას.** (გაბრაზებული ჩამოვარდება აივანიდან, დაებღღვნება ნიკოს, და ანჯღრევს) როგორ ბედავ, შენ არამზადავ, მათხოვარო, მაგის თქმას.

**ნიკო.** (ხელს კრავს) თავი დამანებე!.. მე მართალს ვლაპარაკობ!

**მამს.** სტრაჟნიკო! (დარაჯი შეირბენს) მოკიდე ხელი და ნაობახში შეაგდე. (დარაჯი ხელს სტაცებს და მიათრევს. მამასახლისი ჭანდურს ამოკრავს. ნიკო უძალიანდება, არ უნდა გაყვეს მათრახი, მათრახი მაგ წუპაკს?.. როგორ ბედავს. (ხალხში ხმაურობა და აურ-ზაური)

**ხმები.** გაუშვით!.. რას ერჩით მაგ კაცს? (ხალხი ცდილობს, მაგრამ ვერ ბედავს ნიკოს მიხმარებას და მის გამოხსნას

**მამას.** ეხლა-კი ამოვიყრი ჯინს. სცემე, სცემე, სტრაჟნიკო, მაგ ძაღლს, მაგას... (თვითონაც წაუწევა და წაჰკრავს) შენ მიბედავ ურჩობის გაწევას!!,

**ნიკო.** რა გინდათ ჩემგან თქვე ავაზაკებოო?. გამიშვით!

**მამას.** წაათრიე, მოკალი, არ დაზოგო! (დარაჯი მიათრევს) მე შენ გაგემებ კანონის ძალას...

**ფ ა რ დ ა**

(შემდეგი იქნება)

**ივ. ჭავჭანიძე**

# ტურფა წალკოტში დამეთრთვილა ნაზი ყვავილი...

ტურფა წალკოტში დამეთრთვილა ნაზი ყვავილი,
დამიჭკნა ვარდი-გადუფურჩნელს სიყვარულისა;
ფერფლი-ღა დამრჩა, ფერფლი ცივი, ცრემლით ბანილი,
გულში აზრდილი წმიდა რწმენის თაიგულისა..

ტურფა წალკოტში დამეთრთვილა ნაზი ყვავილი,
გამეცრცვნა ველი... ჩამოსცვივდა ფურცლები იას;
სუსხმა დამიძრო ვაზის ყლორტი სუსტი და ჩვილი,
მყინვარი ისხამს, ჩემი სატრფო, გლოვის მანტიას!..

ტურფა წალკოტში დამეთრთვილა ნაზი ყვავილი
ქვავარდს კამარას გადამეკრა შავი ღრუბელი;
ჩემს ბედსა ჰგლოვობს ჩირგვი წვიმით მთლად განბანილი,
მწარ ფიქრებს მიბორკს ცის ეთერი უსაზღვრო... ვრცელი...

**კიკნა-ფშაველა**

განსვენებულს ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა.

დაუვიწყარო ნატო!

მე ვერ დავესწარ შენს დასაფლავებას. მაგრამ შმმე იცოდი, როგორ ჩაგვეთუთქებოდა გული ყოველ ქართველს, მით უმეტეს იმ ქართველს, რომელმაც იცის ფასი ხელოვნებისა, იცის რა დანაკლისია შენი დაკარგვა, ამ ოცდა ათის წლის წინად ამოკაშკაშებულ ვარსკვლავის იდუმალებით მოცულ ცის სივრცეში სამუდამო ჩასვენება...

დიად, მოევლინე ქართულ თეატრს მბრწყინავ მნათობათ—და ოცდა ათის წლის შემდეგ, შეასრულე-რა შენი მოვალეობა, დაულოცე გზა მომავალ განახლებულ თეატრს და სამუდამოთ განშორდი...

მშვიდობით, ძვირფასო ნატო! არ მომიხერხდა ცრემლი დამეფრქვია საფლავის წინ მდებარე შენი ცხედარისთვის, და შორიდან მოგიძღვნი უკანასკნელ სალამს გულ-მწვავე ცრემლით.

ველარ ვიხილავთ და ვერც მოვისმენთ ცრემლში არეულ შენს კისკასობას, მაგრამ თეატრისა და ქართველ ხალხისათვის შენ უკვდავი ხარ...

**ნატალია გიგაური**

# მომღერალთა საზ-ბა «სანთური»

კვირას, 5 ენკენისთვეს, სამკურნეო საზოგადოების დარბაზში შესდგა ქართული ახალი საზოგადოების „სანთური“-ს კრება, მღ. ვ. კარბელაშვილის თავმჯდომარეობით. წევრად ჩაეწერა 34 კაცი. თავმჯდომარემ შეკრებილთ გააცნო მართებლობის-მიერ დამტკიცებული წესდება. ჩვენი ხალხის კულტურული წინმსვლელობისათვის ასეთ საზოგადოებათ ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვთ; ეს საზოგადოება იმითია ღირს-შესანიშნავი, რომ პრაქტიკულად იმოქმედებს, ხელს შეუწყობს ეროვნულ-ხალხურ სიმღერების აღორძინება-გავრცელებას. საზოგადოება „სანთური“ თითქმის ქართ. ფილარმონიულ საზ-ს მიემსგავსება, მაგრამ ერთი მეორეს ხელს არ უშლის,—ფილარმონიული საზოგადოება თუ სიმღერა-გალობის უფრო თეორიულ მხარეს აქცევს ყურადღებას, ეს პრაქტიკულს და ამგვარად ერთი მეორის შევსებაა. ამდღეს ახალი გამგეობაც იქმნა არჩეული: ი. კარგარეთელი, პ. ცხომელიძე, მღ. ვ. კარბელაშვილი, ა. დ. უარაშვილი, დეკანოზი ნ. თალაკვაძე, — მათ კანდიდატებად—ა. პ. სარაჯიშვილი, მღ. ხახიშვილი, დ. დავითაშვილი და სარევიზიო კომისიის წევრებად: კ. ტუავაძე, ე. ჭავჭანიძე და მ. კავსაძე.

ზოგიერთმა ორატორმა მადლობით მოიხსენია ისინი, ვინც საერო სიმღერების გავრცელებისათვის იღვწოდენ. საზოგადოების საპატიო წევრებად აირჩიეს იაკობ გოგებაშვილი, ეპ. კირიონი, ი. ი. რატილი, რომელთ არჩევას კრება ტაშით მიეგება. დასასრულ პ. გოთუამ საითანგრძნობო სიტყვა წარმოსთქვა, აღნიშნა, რომ დღევანდელმა კრებამ უფრო საქმის ხალხი აირჩია, რაიცა კარგის მომასწავებელია და საზოგადოების გამგეობამ ფხიზლად იმოქმედოს.

# წვრილი ამბები

✦ **დაარსდა ქართველ მსახიობთა წრე** თვით გან-სავითარებლად. წრე კვირაში ერთ დღეს საგანგებოდ იკრიბება სამეცადინოდ დანიშნულ ვადაზე. კითხულობენ, ანუ არკვევენ ამა თუ იმ ნაწარ მოებს. მოსაუბრე რეფერენტად მოწვეულნი არიან ცნობილნი პირნი. სხხდაშორის, მოწვეულია ჩვენი მხცოვანი მგოსანი აკაკი. წრეში უმთავრესად ახალგაზდა მსახიობნი არიან.

✦ **საგუბერნიო ტეხნიკურმა კომისიამ** უკვე შეამოწმა ქართული თეატრი, დამაბრკოლებელი არაფერ უნახავს-რა.

✦ **ქართულ თეატრის** დერეფანს კედლს უშენებენ, რომ ზამთარში თეატრში მოსიარულე გალხს აღარ შესცივდეს, თეატრში შესვლამდე.

✦ **ვ. მალაქიაშვილმა** სთარგმნა „ყოფა ქცევის ნიშანი,“ რომელიც ამ სეზონში დაიდგმება.

✦ **ახალ ხონში წარმოდგენილ იქნება** ვ. მალაქიაშვილის ,,შავი გველი‘‘ და ტრ. რამიშვილის ,,საბედისწერო დამბაჩა‘‘,

✦ **დასში მოწვეულ იქმნენ** ო ლეჟავა ტ. საგინაშვილი და ნ. გვარაძე.

✦ **თათრული წარმოდგენების** გამმართველი წრე ქართ. თეატრში დროგამოშვებით წარმოდგენებს გამართავს.

✦ **საყვედური გამოუცხადეს** ქართულმა მსახიობებმა ერთს ამხანაგს უხამსი საქციელისა გამო. ქართველი მსახიობნი მტკიცედ დაადგნენ თვითცნობიერების გზას.

✦ **ახალ პიესას სწერს** მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ივ. ქავჭანიძე, ჩვენი თანამშრომელი

✦ **ხონის სეზონი** დასრულდა 15 მარიამ. ,,ქოჩრიანი ტოროლათი‘‘, თ. გოგოლაშვილის ბენეფისით დიდძალი ხალხი დაესწრო.

✦ **წელს ხონში გაიმართა** 14 წარმოდგენა და არა 12, როგორც ,,თ. დაც'' იყო გამოცხადებული შემოსავალი უდრიდა 700 მან. მეტს, დეფიციტი დაახლოვებით 11 მანეთი,-წარმოდგენებში გულმხურვალე მონაწილეობას იღებდა წინად ჩამოთვლილთა გარდა, ბ. ფხალაძე

✦ **გარდაიცვალა ელენიკა ჩხეიძე**, ხონის სცენის მოყვარე, პატიოსანი და დაუღალავი მშრომელი ქალი, დაბადებიდან დაახლოვებით 30 წ. დაკრძალულ 8 ენკენისთვეს. 1910 წ. მისმა გარდაცვალებამ მთელი ხონი შეაწუხა.

✦ **სომხური დასის** რეჟისორი არმენიანი შეუდგა თანამდებობის აღსრულებას. დასმა მეცადინეობადაიწყო.

✦ **მსახიობმა არმენიანმა** ფრანგულიდან სომხურად სთარგმნა გუსტავ ლრუას პიესა ,,მსაჯულთა სახლი''. პიესა შეეხება თანამედროვე სამსაჯულოს ცხოვრებას და ფრიად საინტერესოა. ლ. რუი განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს რუსეთში იყო და თვალყურს ადევნებდა ყველა გარჩეულ სამოსამართლო პროცესს.

✦ **შხიანმა სთარგმნა** სომხურად ანრი ბატილის „Vierges folles“

✦ **საარაკო ამბავია** შალიაპინის მოლოდინში, მიუხედავად ამისი, რომ უზომო ფასებია-ლოჟები 60 მა. დე პარტერი 6-25 მანეთამდე, გალერეა 2 მან. აუარებელი ხალხი აწყდება კასას რიგში ჩამდგართ თავი არტისტულ თეატრის დერეფანშია ბოლო თითქმის სახაზინო თეატრთან,

✦ **შალიაპინის კონცერტი** გაიმართება 19 ენკენისთვეს. თვითო გამოსვლაში 3,000 მანათი აქვ გარდაწყვეტილი. შ-ი ჩამოსულია მდიდარი მეცენატის ილინის თაოსნობით.

✦ **მ. მ. საფაროვ-აბაშიძისამ** რედაქციას აცნობა, რომ მისი ხარჯით ეგზავნოს ჟურნალ ,,თეატრი და ცხოვრების'' ნომერი წლიურად, სანამ ჟურნალი არსებობს, რომელსამე ბიბლიოთეკას. ჟურნალი გაიგზავნება წ. კ. საზ. ჩვენებისამებრ.

✦ **სომეხთა მგოსანს ოვანეს თუმანიანს** მთელს სიცოცხლეში წლიურად 600 მან. პენსია უანდერძა ქ-მა ბარბარე მელიქ-ჰაიკაზიანმა. ეს მეორე შემთხვევაა, რომ ბეჭდვითი საქმის მუშაკს მთელ სიცოცხლეში უზრუნველ ჰყოფენ პენსიით. სომეხთა მეორე ქველმოქმედმა სანასარიანმა აგრეთვე 600 მან. უანდერძა პ. სიმონიანს რომელიც უკლებლივ იღებს ამ პენსიას.

✦ **უკვე ჩამოვიდნენ** საოპერო ამხანაგობის მეთაური ა. ა. ეიხენლდი, ნ. ა. დონსკაია, მოროზოვისა, ბბ. კორჩმარევი, ლიპეცკი, მოზჟეხუნი, ლევონიდოვი და სხ,

**,, არტისტ. თეატ.'' ანტრეპრენიორმა ნიკულინმა,** რომელიც სახალხო სახლში ფიქრობდა წარმოდგენების გამართვას, უარი სთქვა ხელს არ შევუშლი ,,რუსულ წრესო''. ამასთანავე სცენის მოყვარეთ ფასნაკლებ დაუთმო ,,არტ, თეატ.-ში'' ადგილები.

✦ **შალიაპინის** კონცერტის გამო რუსული დრამის სეზონის გახსნა 21 სექტ. გადაიდო.

✦ **სახ. სახ. მუსიკალურ საზ.-ს** განზრახვა აქვს შალიაპინის მონაწილეობით კონცერტი გამართოს სახალხო სახლში.

✦ **სახალხო სახლში** 24 ენკენ. დაიწყება ოპერის სეზონი.

✦ 30 **წ. სრულდება** 26 ნოემბერს, რაც პირველად თბილისში „Жизнь за Царя“ წარმოადგინეს.

✦ **კავკასიელთა ცხოვრების პიესების** გადაღებას ფიქრობს სინემატოგრაფით იტალიის ერთფირმის წარმომადგენელი, რომელიც ამ ჟამად თბილისშია. ამ მიზნით ქალაქის განაპირას ფიქრობს განსაკუთრებული თეატრის აშენებას. აზრად აქვს გადიღოს ,.ღალატი'', ,.დემონი'', ,,ჰაჯი აბრეკი'', ,,კავკასიელი ტყვე'' და სხ.

**შეცდომის გასწორება.** გასული კვირის №-ში უნებური შეცდომა შეგვეპარა. დუტუ მეგრელმა მწერლობა დაიწყო 1886 წ. პირველი ლექსი.

**,,ნეტა ვიცოდე''** დაბეჭდა ,,თეატრში'', ნოემბერის 9. პირველი მოთხრობა **,,საცოდავნი',,** გაზ. ,,ივერია''-ში 1888 წ. № 91 და სხ., ასე რომ მომავალ ღელს ნოემბერში უსრულდება 25 **წელი**. რაც სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობს.

✦ **ი. ნიკოლაძემ** გადაიღო ნ. მ. გაბუნიაცაგარლის ნიღაბი (მასკა)

## მმ. ზუბალაშვილთა სახ. სახლი

**ლიტერატურულ-ვოკალურმა საღამომ** 4 ენკენისთვეს, ბევრი ხალხი მიიზიდა. არც საკვირველია: ვლ. ალექსიმესხიშვილისა და ახალგაზდა მწერალთა მონაწილეობა უყურადღებოდ არ გამორჩებოდა ხალხს. ხალხი ყოველთვის ხალისით დაესწრება სულიერ საზრდოს მომცემ საღამოებს. ერთი რამ არის მხოლოდ საწყენი: ასეთი საღამოს გამმართველნი თითქო პარტია-პარტიად იყოფოდენ, ერთი მეორეს გაურბიან—წინად გამართულ ,.საღამოში'' სხვა მიმართულების მწერალნი ვნახეთ, ახლა სხვა, იქ სხვა ტენდენციის ხალხი, აქ სხვა. სხვა ფრივ სასიამოვმნოდ, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საღამომ, ზოგიერთ ახალგაზდა მწერალს უკიდურესი ტენდეცია რომ არ გაეტარებია თავის ნაწარმოებში.

ვლ. ალ.-მესხიშვილი მოეწონა საზოგადოებას; შინაარსიანი და დროს შესაფერი იყო ირეთელის ,,ოცენჩიკები'' და ეშმაკის მშვენიერი სატირა ,,ვინ გაიმარჯვებს'', საუცხოვო იყო ბ. ახოსპირელის ,,გოდება და შესაფერის გრძნობითაც წაიკითხა აღსანიშნავია. მ. ქუჩიშვილი და ბაბილინაც.

ვინც კარგად სწერავს, კარგად კითხვაც რომ შეეძლოს—ტრ. რამიშვილიც დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა თავისი მშვენიერი ,,შეშლილებით'', მაგრამ ახალგაზრდა დრამატურგს ამის ძალა არ შესწევს.

მოცეკვე-მომღერალთა გურულების გუნდიც უკეთეს შთაბეჭდილებას მოახდენდა ერთ კილოვანება რომ აეშორებინა და უკეთ მომზადებულიყო.

საერთოთ ხალხი კმაყოფილი დაბრუნდა შინ.

**წინა.**

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

მიიღება ხელის მოწერა

# „თეატრი და ცხოვრება“-ზე

წლიურად 5 მან. ნახევარ წლით 3 მან.

---

თბილისის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

# გ. მ. თუმანიშვილის

## წიგნები

## Характеристики и воспоминанія

3 выпуска, цѣна каждаго 50 коп.

**Вновь открыта обширная**

**ТИПОГРАФІЯ**

# „ГЕРМЕСЪ“

Принимаются

всевозможныя типографскія и переплетныя работы

по весьма умѣреннымъ цѣнамъ.

**Заказы исполняются изящно и аккуратно.**

*Мадатовская № 5.*

---

Типографія „ГЕРМЕСЪ“ Мадатовская, № 5.